ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

მუნიციპალიტეტის მერი - ჯონდო მდივნიშვილი

საანგარიშო პერიოდი - 2023 წლის 01. 01. - დან 2023 წლის 01. 10 - მდე

ანგარიშის ტიპი - რიგითი

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. **მუნიციპალიტეტის მერმა მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, მომზადებული იქნა,

- 761 ბრძანების პროექტი;
- 20 შრომითი ხელშეკრულება და 47 ადმინისტრაციული ხელშეკრულება;
- განხორციელდა 50 საჯარო მოხელის შეფასება;
- დაარქივდა 5 პირადი საქმე;
- ლაგოდეხის მერიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე შემოვიდა და პასუხი გადაიგზავნა 3287 წერილზე;
- ჩატარდა ხუთი დახურული და ორი ღია კონკურსი;
- სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის - "დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე" - მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი, რომლის მიზანია ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება ადგილობრივ დონეზე. მოხელეთა შეფასების მეთოდოლოგის, ასევე პროფესიული განვითარების პროცესის დახვეწისა და განვითარების კუთხით, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება აქტიურად იყო ჩართული ზემოაღნიშნულ პროექტში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხელის შეფასების მართვის კუთხით გადამზადდა 17 საჯარო მოხელე;
- ჩატარდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების თანამშრომელთა ტრენინგსაჭიროებების კვლევა და 2023 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების გეგმის მიხედვით, გადამზადდება 50 მოხელე.
- საანგარიშ პერიოდში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის ორი თანამშრომელი გადამზადდა პროფესიული განვითარების კუთხით.

2. მუნიციპალიტეტის მერმა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ურთიერთობის სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა: ინიცირებული იქნა სხვადასხვა პროექტები, რაზეც გამოცემული იქნა ინდივიდუალური და ნორმატიულ-ადმინისტრაციული სამართლებრივი

აქტები, ასევე სამუშაო შეხვედრების დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება სხვადასხვა პროექტებზე და მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემურ საკითხებზე.

3. მუნიციპალიტეტის მერმა საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის სფეროში

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2022 წლის 27 დეკემბრის №27 დადგენილებით. დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობები და ხარჯები განსაზღვრული იქნა 18 774 200 ლარით. მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ხარჯების გეგმა შეადგენს 35 008 700 ლარს. რაც შეეხება 2023 წლის 3 კვარტლის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმებს შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში - შეადგინა 27 023 072 ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის 3 კვარტლის შემოსულობების შესრულებამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 28 237 653 ლარი, მათ შორის შემოსავლების სახეების მიხედვით:

- ✓ გადასახადები 13 495 096 ლარი,
- ✓ სხვა შემოსავლები 1 673 714 ლარი,
- ✓ გრანტები 7 137 602 ლარი.
- ✓ არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები 603 942 ლარი.
- ✓ მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 5 327 299 ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის გადასახდელების (ხარჯების) 3 კვარტლის შესრულებამ შეადგინა 22 295 641 ლარი, მათ შორის:

- ➢ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 3 კვარტლის ხარჯების შესრულებამ შეადგინა 798 509 ლარი.
- ➢ მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 3 კვარტლის ხარჯების შესრულებამ შეადგინა 1 799 645 ლარი.
- ➢ სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისთვის გაწეული ხარჯების შესრულებამ შეადგინა 102 182 ლარი.
- ➢ ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისათვის გაწეული ხარჯების შესრულებამ შეადგინა 12 695 146 ლარი.
- ➢ დასუფთავებისა და გარემოს დაცვისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 391 438 ლარი.
- ➢ საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3 231 665 ლარი.
- ➢ კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობის მიზნით გაწეული ხარჯების შესრულებამ შეადგინა 1 353 812 ლარი.

- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის გაწეული ხარჯების შესრულებამ შეადგინა 846 806 ლარი.
- მერის ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 63 181.09 ლარი.

4. მუნიციპალიტეტის მერმა მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში

2023 წლის 9 თვის განმავლობაში, მუნიციპალიტეტს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან, საკუთრებაში გადმოეცა 2 ობიექტი და 10 სასოფლო და არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ყველა ქონებაზე, არსებობს გადმოცემის ბრძანება, ხოლო უძრავი ქონება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

საანგარიშო პერიოდში, განყოფილების მიერ, მოძიებულ იქნა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული 29496-კვ.მ. თავისუფალი (დაურეგისტრირებელი) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4 მიწის ნაკვეთი, რომელიც საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა.

მუნიციპალური საკუთრების გარკვეული ნაწილი გადაცემულია სასყიდლიანი ფორმით - იჯარით. მრავალწლიანი იჯარით, 2023 წელს, გაცემულია 2 ობიექტი და 7 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ყველა საიჯარო ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და მუნიციპალიტეტს იჯარის ქირის დავალიანება არ აქვს.

2023 წელს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ყოველწლიურად საიჯარო გადასახადის სახით დამატებით შევა 38 827 ლარი.

საანგარიშო პერიოდში, 11 უძრავი ქონება, გადაცემული იქნა უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით. შესაბამისად, გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. განხორციელდა 9 ერთეული მაღალი გამავლობისა და სპეციალიზებული ავტომანქანის, ლაგოდეხის სერვისცენტრზე გადაცემა. ასევე, სერვისცენტრს გადაეცა საწნეხი აპარატი, ნაგავშემკრები კონტეინერები, სპეცტანსაცმელი, სანათები და კაბელები.

განყოფილება შესაბამის ყურადღებას უთმობს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებასა და ამ გზით, ადგილობრივი ბიუჯეტში გარკვეული ტიპის თანხების მობილიზებას. საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ აუქციონებზე პრივატიზებული იქნა - 4 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რის შედეგადაც 193 608 ლარი შევიდა ადგილობრივ ბიუჯეტში.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციას შორის, 2023 წლის 23 იანვარს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ასოციაციის მიერ შემუშავებულ პროგრამაში აისახა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება. აღნიშნული პროგრამით სარგებლობს, როგორც ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება, ასევე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა()აიპ ორგანიზაციები.

საერთაშორისო პროექტებისა და ტურიზმის განვითარების განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო-ს მიერ მომზადებულ გამოკითხვაში, სადაც მომზადდა სპეციალური ფორმა. გამოკითხვა მიზნად ისახავდა გლობალური მასშტაბით, 2022 წელს დაფიქსირებული ტყის ხანძრის შემთხვევების ხანძრების შემაშფოთებელი ზრდის ტენდენციას და მისი პრევენციის საკითხებს მომდევნო წლებში.

მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად, სხვადასხვა სახის ინფორმაცია შეგროვდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ შენობებზე.

მოძიებულ იქნა ინფორმაცია და განახლდა ტურისტული საინფორმაციო ბაზები (სასტუმროები, კვების ობიექტები, მარნები და სხვ.) ასევე, მოცემული ინფორმაცია გავუზიარეთ DMO Visit Kakhets საერთო ბაზის განახლებისათვის. აღნიშნული ინფორმაცია ეტაპობრივად ახლდება.

მოვამზადეთ ინფორმაცია ლაგოდეხის ადგილობრივი ტურისტულად მიზიდულობის ადგილების შესახებ. სადაც, გაიწერა ინფორმაცია პერსპექტიული ტურისტულად მიმზიდველი ადგილების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია გავუზიარეთ კახეთის რწმუნებულის ადმინისტრაციასა და კურორტების განვითარების სააგენტოს.

ადგილზე შევხვდით სხვადასხვა სასტუმროს წარმომადგენელს, განვიხილეთ ისეთი თემები, როგორიცაა მომსახურების სტანდარტები, ვიზიტორთა განთავსება და სხვ. ასევე, საუბარი გვქონდა მათთვის საჭირო და საინტერესო საკითხებზე.

მოვამზადეთ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP), რომელიც სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან და ორგანიზაციასთან ინტენსიური მუშაობით და ჩართულობით შეიქმნა.

5. მუნიციპალიტეტის მერმა აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროებში განახორციელა შემდეგი საქმიანობა

„მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსება განისაზღვრა 1 347 500 (ერთიმილიონ სამასორმოცდაშვიდიათას ხუთასი) ლარით.

ცხრა თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 1 915 ბენეფიციარმა, გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა 746 165 (შვიდასორმოცდაექვსიათას ას სამოცდახუთი) ლარი. აქედან:

1. სამედიცინო მომსახურებისა და ონკოლოგიური პაციენტებისათვის მედიკამენტური მკურნალობის თანადაფინანსებით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა - 915 ადამიანმა (15 ონკო. პაციენტმა), გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 293 795 ლარი.
2. 35 -მა ჰემო-დიალიზზე მყოფმა მოქალაქემ ისარგებლა (ტრანსპორტირების თანხის უზრუნველყოფით) თანხის ოდენობამ შეადგინა -54 400 ლარი.
3. 35 - ბენეფიციარმა ისარგებლა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის (ბინის ქირა) დახმარების პროგრამით, გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა -38 250 ლარი.
4. 367 ოჯახმა ისარგებლა ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამით , გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 92 110 ლარი.
   227 - ახალშობილს, გადაეცა ,,ახალშობილის კალათი".
5. 153 ოჯახმა ისარგებლა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (პირველი ჯგუფი) პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე ასაკის) დახმარების პროგრამით და გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 29 140 ლარი.
6. 61 დევნილის ოჯახმა ისარგებლა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ერთჯერადი ფულადი დახმარებით, გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 9 150 ლარი.
7. 17 ვეტერანის ოჯახმა ისარგებლა სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დახმარებით, გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 4 500 ლარი.
   მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და უცხოქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლთა, გარდაცვალების შემთხვევაში, სარიტუალო ხარჯით დაკმაყოფილდა - 3 ოჯახი, დახმარების ოდენობამ შეადგინა - 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარი.
8. 9 მარტოხელა სოციალურად დაუცველი პირის დაკრძალვის სარიტუალო ხარჯის უზრუნველყოფისათვის გაიხარჯა - 4 500 ლარი.
9. 140 სოციალურად დაუცველმა ბენეფიციარმა ისარგებლა უფასო კვების ობიექტის მომსახურებით, გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 74 574 ლარი.
10. 70 უმწეო ხანდაზმულმა ოჯახმა ისარგებლა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამით, გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 54 435 ლარი.
11. მაღალი აკადემიური მოსწრების 40 სტუდენტმა მიიღო ერთჯერადი ფულადი წახალისება , გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 40 000 ლარი.
12. აქტიურად მიმდინარეობს 2023 წელს საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტების წამახალისებელი პროგრამით სარგებლობა.

13. აუტისტური სპექტრის მქონე 14 - მა ბავშვიანმა ოჯახმა ისარგებლა სოციალური დახმარების პროგრამით, რომლის ოდენობამ შეადგინა - 7 000 (შვიდიათასი) ლარი.
14. ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტსტუსის მქონე ერთ პირს (მშობელს) , რომლის ორი მცირეწლოვანი შვილიც ძალადობის მსხვერპლია გაეწიათ ერთჯერადი ფულადი დახმარება - ჯამში - 1500 ლარი.

საანგარიშო პერიოდში, სოციალური პროგრამის ფარგლებში, გამოიყოფილია 2 590 ლარი, შშმ პირებისათვის, 6 ერთეული ეტლის შესაძენად.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის - ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მონიტორინგი, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა საჭიროებების მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახებთან, რომლის შედეგად გამოიკვეთა სხვადასხვა საჭიროების მქონე ოჯახები, სადაც ბავშვთა ინტერესების გათავალისწინებით, საჭირო გახდა რეაგირების განხორციელება. თითოეულ საქმეზე, ინდივიდუალურად ინტერდისციპლინარული ჯგუფის ჩართულობით შემუშავებული იქნა სამართლებრივი დოკუმენტები, სკრინინგის ფორმა, ბავშვის /ბავშვების ოჯახის შეფასების ფორმა, ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა და დასკვნა. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე განისაზღვრა ინდივიდუალური საჭიროებები და ოჯახებს გაეწიათ სათანადო დახმარება. კერძოდ:

- ოჯახების გაძლიერების მიზნით, შემუშავებული იქნა ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა, მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება - კეთილმოწყობისათვის.
- 9 ოჯახს გაეწია სამართლებრივი კონსულტაცია და საჭიროებების გათვალისწინების შედეგად ოჯახები ჩაერთნენ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ,, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის" სხვადასხვა ქვეპროგრამებში.
- განყოფილების მიერ 6 ადმინისტრაციულ ერთეულში გამოიკითხა 59 ოჯახი სადაც სამიზნე ჯგუფად შერჩეული იქნა მრავალშვილიანი, მარტოხელა, მარჩენალდაკარგული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახები მოხდა მათი პრობლემების, გამომწვევი მიზეზების, საჭიროებების გამოვლენა. გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე 46 ზ/აღნიშნულ ოჯახს დაურიგდა სეზონური ტანსაცმელი. ბავშვთა განყოფილება მუნიციპალიტეტის მაშტაბით აგრძელებს კვლევა/ მონიტორინგს ოჯახების გაძლიერებისთვის, რის შემდგომაც შესაძლებელი გახდება მოსახლეობის საჭიროებებზე უკეთ მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამების შემუშავება.

სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ მომზადებული იქნა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების - 26 (ოცდაექვსი) სამართლებრივი ფორმა.

რაიონულ/სააპელაციო სასამართლოში განიხილებოდა 14 საქმე, თუმცა მიმდინარე საქმეების რაოდენობა სულ - 66 (სამოცდაექვსი) საქმეა (აქედან 30 აღიარების კომისიის). ამასთან, ლაგოდეხის მაგისტრატ სასამართლოში განიხილებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 4 (ოთხი) საქმე, ოთხივე საქმეზე მოპასუხე მხარე ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად. უნდა აღინიშნოს რომ მ/წელს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, გაიზარდა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამართალდარღვევის გამოვლენას, არამედ სამართალდამრღვევი პირის მიმართ სახდელის შეფარდებასაც, რაც გასულ პერიოდში სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა. სწორედ ამ მიზნით, კანონით გათვალისწინებული წესით დამტკიცდა მკაცრი აღრიცხვის ფორმა და შესაბამისად, დაიბეჭდა „საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი"-ს ფორმა, რაც სამსახურს საშუალებას მისცემს ოპერატიულად იმოქმედოს გამოვლენილ სამართალდარღვევაზე და დამრღვევს ადგილზე შეუფარდოს შესაბამისი სახდელი. დღეის მდგომარეობით შედგენილია ერთი „საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან (სამართალდარღვევები), სანქციების სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო, შენობა-ნაგებობების მესაკუთრეების მიერ გადახდილია ჯარიმის სახით სულ - 5 400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარი. სამსახურის მიერ ინტენსიურად ხორციელდება ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება, რომელიც შეეხება ძირითადად სანებართვო მოსაკრებელსა და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელს. საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ამოღებულია ადგილობრივი მოსაკრებელი სულ - 219 266 ლარის ოდენობით, საიდანაც მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი - 9137 ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი -210 129 ლარი, შედარებისთვის 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის გეგმის მიხედვით დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი განსაზღვრულია -180 000 ლარის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ექსპლუატაციაში იქნა მიღებული / ვარგისად იქნა აღიარებული - 87 (ოთხმოცდა შვიდი) შენობა ნაგებობა, ხოლო დღეის მდგომარეობით სამსახურის თანამშრომლების მიერ მონიტორინგი ხორციელდება -167 (ას სამოცდაშვიდი) სამშენებლო პროექტზე.

ამასთან, შესაძლო სამართალდარღვევის (იგულისხმება სანებართვი პირობების დარღვევა) თავიდან აცილების მიზნით სამსახურში დანერგილია წინასწარი წერილობითი შეტყობინებების გაგზავნის პრინციპი, რომელიც იგზავნება სისტემატიურად, ხოლო ახალი სამშენებლო კოდექსიდან გამომდინარე დაინერგა მშენებლობის ეტაპობრივი მონიტორინგი და სამუშაოების ეტაპობრივად ჩაბარების სისტემა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სამშენებლო სამართალდარღვევების ფაქტები.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით უნებართვო მშენებლობების პრევენციის მიზნით მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად დარიგდა საინფორმაციო ფლაიერი.

სამსახურის მიერ დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების გაუმჯობესების მიზნით დანერგილია ელექტრონული პროგრამა, შექმნილია აბონენტების ერთიანი ელექტრონული ბაზა, რაც უზრუნველყოფს სწრაფი გადახდის აპარატების საშუალებით დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის შესაძლებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამამ მარტივი და მოქნილი გახადა დასუფთავების მოსაკრებლის გადახდა, ვინაიდან მოქალაქეებს აღარ უწევთ დამატებითი ფინანსური და დროის რესურსის ხარჯვა. მის მიერ შეტანილი თანხა სრულად აისახება აბონენტის ანგარიშზე. უკვე დანერგილია და მიმდინარეობს დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის საშუალებით გადახდა, რამაც კიდევ უფრო მოქნილი გახადას დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების სისტემა და გაიზარდა ამოღებული მოსაკრებლის ოდენობას.

სამსახურის თანამშრომლები მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ ნარჩენების მართვის მონიტორინგს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მიუხედავად საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინტენსიური რეჟიმით გატანისა, რიგ ადგილებში მაინც შეიმჩნევა ტერიტორიის დაბინძურება და თვითნებური ნაგავსაყრელების არსებობა. შესაბამისად, თვითნებური ნაგავსაყრელების შექმნის პრევენციის მიზნით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით განთავსებულია როგორც ფოტოხაფანგები ასევე გამაფრთხილებელი ბანერები. სულ ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით განთავსებულია 4 ფოტოხაფანგი და 65 ბანერი. საანგარიშო პერიოდში დაიხურა ორი სტიქიური ნაგავსაყრელი შრომასა და გიორგეთში.

მ/წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მუნიციპალიტეტში პლასტიკის სეპარირები კუთხით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსდა 25 ბადიანი ურნა, სოფელ კაბალში 20 ბადიანი ურნა (იაპონიის საელჩოს გრანტის ფარგლებში), ხოლო ქალაქ ლაგოდეხში 25 ბადიანი ურნა (UNDP-ის პროექტის ფარგლებში). ამ ეტაპისთვის მუნიციპალიტეტში უკვე დაწყებულია პლასტიკის სეპარირება, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა სისტემის უკეთ ფუნქციონირებისათვის

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო ძაღლების მომრავლების გამო, ცხოველთა უპატრონოდ მიტოვების თავიდან აცილების მიზნით განთავსებულია გამაფრთხილებელი ბანერები მუნიციპალიტეტის ცალკეულ ადგილებში, ასევე სამსახურს მჭიდრო კავშირი აქვს ა(ა)იპ „მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურ სააგენტოსათან", ეტაპობრივად ხდება მომრავლებული ძაღლებისაგან როგორც ქალაქის, ასევე ადმინისტრაციული ერთეულების განტვირთვა და მათი გადაყვანა მუნიციპალიტეტის შედარებით დაუსახლებელ ტერიტორიაზე. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან სულ გაყვანილია 435 ძაღლი.

სამსახურის თანამშრომლების მიერ მომზადებული იქნა - 25 (ოცდახუთი) დასკვნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგარი ხეების მოჭრა - გადაბელვასთან დაკავშირებით, რომელიც შესასრულებლად გადაეგზავნა ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრს". საანგარიშო პერიოდში მოჭრილი ხეებიდან, სულ აღირიცხა 40 კუბ.მეტრი ხე-მასალა.

საანგარიშო პერიოდში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ - 95 (ოთხმოცდათხუთმეტი) განცხადება, დაკმაყოფილდა მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე - 80 (ოთხმოცი), უარი ეთქვა ინფორმაციის მიწოდებაზე პერსონალური ინფორმაციის არსებობის გამო - 5 (ხუთი) განცხადებაზე, ერთ შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ორ შემთხვევაში განმცხადებელს განემარტა, რომ აღნიშული ინფორმაცის მისაღებად უნდა მიმართონ სხვა სტრუქტურულ ერთეულს. ამჟამად მიმდინარეობს 7 (შვიდი) განცახდების დამუშავება. მოთხოვნილ განცხადებებზე დადებითი ან/და უარყოფითი პასუხები გაცემული იქნა კანონით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში დაინტერესებული მხარის მიერ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა კანონით დადგენილი წესით.

აღსანიშნავია, რომ სამსახურის თანამშრომლები და სამსახურის უფროსი დამატებით ჩართულები არიან მერიაში შექმნილ არაერთ კომისიებსა თუ სამუშაო ჯგუფებში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ განხილულია სულ 6 (ექვსი) განცხადება, ექვსივე შემთხვევაში დადგინდა დაინტერესებული პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტი.

სამსახურის თანამშრომლები ჩართულები არიან სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის მიზნით შექმნილ „სამშენებლო ინსპექტირების ჯგუფში, შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში თანამშრომლების მიერ კონტროლდება -33 (ოცდაცამეტი) ხელშეკრულება, რომელიც შეეხება როგორც საქონელის (ნივთების), ასევე მომსახურების შესყიდვას.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა შემდეგი სამუშაოები:

მომზადდა 2006 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გეგმა-გრაფიკი და შედგა მათი პირველადი სამხედრო აღრიცხვა. პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 2006 წელს დაბადებული 174 ჭაბუკი, თითოეულ ჭაბუკზე შეივსო სააღრიცხვო ბარათი სრული მონაცემებით და ჩაეწყო კართოთეკაში, შეიქმნა ანბანური წიგნი. მიწერის დასრულების შემდეგ ანგარიში წარედგინა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

2022 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის გამწვევი კომისიის (18 სხდომა) სხდომების საფუძველზე, გამოძახებულ იქნა გამწვევ კომისიაზე 402 წვევამდელი, გამოცხადდა და მიღებულია გადაწყვეტილება 308 წვევამდელზე, გადავადება გაუფორმდა 256 წვევამდელს, სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლდა 5 წვევამდელი.სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 35 წვევამდელი, ჩაირიცხა თადარიგის რეზერვში ზღვრული ასაკის მიღწევის გამო 98 წვევამდელი, სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ და აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 39 რეზერვისტი. შ. ვ. სამხედრო სამსახურისათვის 10 წვევამდელი. გაგზავნილია გამოკვლევაზე და არ არის შესაბამისი სამედიცინო დასკვნა-6 წვევანდელზე; გაწვეულია სამხედრო სავალდებულო სამსახურში 30 წვევამდელი, გაწვევის დამთავრების შემდეგ პირადი საქმეები შედარდა ალფავიტურ წიგნს და მომზადდა არქივში გადასატანი საქმე. სახედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა სახვა მუნიციპალიტეტიდან 21 წვეწვამდელი; სხვა მუნიციპალიტეტში გადაგზავნილ იქნა 10 წვევამდელის პ/საქმე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მომართვის თანახმად 4 წვევამდელზე და 5 რეზერვისტზე შეიქმნა საქმეები 2 ეგზემპლარად და გადაიგზავნა თავდაცვის სამინისტროში საკონტრაქტო სამსახურის გასავლელად.

ტერიტოტიულ რეზერვში სამსახურის მსურველ 1 რეზერვისტზე შეიქმნა პირადი საქმე და გადაგზავნილ იქნა თავდაცვის სამინისტროში. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ და აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 29 რეზერვისტი; სხვა რაიონიდან გადმოსული 4 რეზერვისტი; სხვა მუნიციპალიტეტში გადასულ იქნა 12 რეზერვისტი; შსს სპეც აღრიცხვაზე გადაყვანილ იქნა 36 რეზერვისტი.

საქართველოს მთავროდის 2018 წლის 29 მაისის #276 დადგენილების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულია 84 რეზერვისტი.

6. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინფრატსრუქტურული პროექტები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში აწარმოებს შემოსული კორესპოდენციის შესაბამისად სამუშაოებს, რომელიც შეეხება საცხოვრებელ სახლებზე დახმარებას, ხანძრის შედეგად გამოწვეული ზიანის აღსადგენად დახმარებას, სანიაღვრე არხების გაწმენდას, გარე განათების დამონტაჟებას, მილხიდების მოწყობას, სკვერის მოწყობას, ქუჩებისთვის სახელის მინიჭებას, ტერიტორიების გაწმენდას ეკალ-ბარდისაგან და სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან, მდინარეების კალაპოტების გაწმენდა-გასწორხაზოვნებას, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემას და სხვა. სამსახურის მიერ ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს აღნიშნული განცხადებების და კორესპონდენციების განხილვა და შესაბამისი პასუხების გაცემა.

განყოფილებაში შემოსულ განცხადებებზე და მომართვებზე, რომელიც შეეხება სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად ტექნიკის გამოყოფას, განყოფილების სპეციალისტების მიერ ადგილზე მოხდა საკითხის შესწავლა, შედგენილია შესაბამისი დეფექტური აქტები და შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილია ა(ა)იპ ,,ლაგოდეხის სერვის ცენტრში''.

განყოფილების მიერ აქტიურად მიმდინარეობდა და ამჟამადაც მიმდინარეობს მუშაობა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ სამუშაოებზე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე, რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსებით განსახორციელებელ პროექტებზე და ასევე დონორი ორგანიზაციების თანადაფინანსებით განსახორციელებელ პროექტებზე. განყოფილების სპეციალისტები მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ვიზიტი და განსახორციელებელ პროექტებზე შესაბამისი დეფექტური აქტების შექმნა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს 37 პროექტი, ეწყობა სკვერები, სანიაღვრე არხები, სასმელი წყლის მაგისტრალი, ფიტნეს ტრენაჟორები, გარე განათება, რეაბილიტაცია უკეთდება სასაფლაოს ღობეებს, იხრეშება შიდა სასოფლო გზები (საერთო თანხა 2 051 492 ლარი).

რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დასრულებულია ქ. ლაგოდეხში დავით აღმაშენებელის ქუჩის, ვაჟა-ფშაველას ქუჩის რეაბილიაცია, სოფელ ჭიაურის მე-3 ქუჩის, სოფელ ჭიაურის პირველი ქუჩის და სოფელ ყარაჯალაში შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სოფელ შეერთებაში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (საერთო თანხა 6 773 075 ლარი).

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით დასრულებულია 25 პროექტი და მიმდინარეობს 16 პროექტის გამხორციელება, იგება ასფალტო-ბეტონის საფარი, ეწყობა სანიაღვრე არხები, სასმელი წყლის მაგისტრალები, სკვერები, სპორტული ინფრასტრუქტურა, გარე განათება, მოსაცდელი, მოეწყო ლითონის კონსტრუქცია სახელმწიფო დროშისთვის (საერთო თანხა 7 013 137 ლარი).

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს: სოფელ განჯალაში, სოფელ არეშფერანში, სოფელ ბაღდათში, სოფელ გვიმრიანში, სოფელ მსხალგორში და სოფელ ჩადუნიანში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღების მშენებლობა (პროექტის ღირებულება 9 225 876 ლარი). მთავრობის განკარგულების საფუძველზე სოფელ პატარა გორში მეორე ქუჩაზე და სოფელ საქობოში პირველ ქუჩაზე მიმდინარეობს სანიაღვრე არეხების რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 281 222 ლარი.

7. მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერის მიერ ინიციირებული საკითხები

მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოში ინიცირებული იქნა სხვადასხვა პროექტები, კერძოდ: ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამა და მასში განსახორციელებელი ცვლილებები, პროექტები ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, ზოგიერთი

ნორმატიული აქტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსახორციელებელი ცვლილების ახალი პროექტები. ახალი ნორმატიული აქტების პროექტები.

ასევე ინიცირებული იქნა პროექტები მერისთვის სხვადასხვა საკითხზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

სამსახურის მიერ მომზადებული/დავიზებული იქნა მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის - ბრძანების - 2100 (ორიათას ასი) პროექტი. ხოლო სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემულია სულ - 20 (ოცი) ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი. საკრებულოს ინდივიდიუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - განკარგულების - 42 (ორმოცდაორი) პროექტი და საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის - დადგენილების - 11 (თერთმეტი) პროექტი.

8. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადებული იქნა მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების 2 173 პროექტი.

9. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 146 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომლის საერთო სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 15,8 მილიონ ლარი.

დაფინანსების წყაროების მიხედვით გაფორმდა :

- 104 - ხელშეკრულება ადგილობრივი ბიუჯეტით-9 509 253 ლარზე;
- 27- ხელშეკრულება თანადაფინანსებით-4 443 181 ლარზე.

მათ შორის:

- 2- ხელშეკრულება რეგიონალური პროექტების დაფინანსების ფარგლებში;
- 25- ხელშეკრულება სოფლის პროგრამის დაფინანსების ფარგლებში;
- 15- ხელშეკრულება სახელმწიფო ბიუჯეტით.

მათ შორის:

- 2-სოფლის პროგრამის დაფინანსების ფარგლებში-40644 ლარზე;
- 2-სტიქიის პრევენციის ფარგლებში-244284 ლარზე;
- 11- ხელშეკრულება 2023 წელს მომხდარი სტიქიის ფარგლებში-987429 ლარზე. აქედან
- 112114 -ლარის მასალები იქნა შეძენილი;
- 110544 -ლარის სახლის სახურავების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები;
- 764770-ლარზე გაფორმებულია 4 ხელშეკრულება რომლითაც გადაიხურება 28 საცხოვრებელი სახლი და 8 კორპუსი.

შესყიდვის ტიპის მიხედვით

- 82- ხელშეკრულება დაიდო ელექტრონული ტენდერის საშუალებით, რამაც შეადგინა - 12 934 643 ლარი;
- 53-ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით - 345 080 ლარზე;
- 11- ხელშეკრულება კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით -2 517 808 ლარზე;
- მ.შ.:
- 1-ხელშეკრულება გაფორმდა საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურებზე რაიონის მასშტაბით - 454058 ლარზე;
- 1-ხელშეკრულება ხუთი ერთეული ადაპტირებული ავტობუსის შესაძენად 1717500 ლარზე, მრავალწლიანი ხელშეკრულება.

2023 წლის 9 თვის პერიოდში ტენდერების განხორციელების შედეგად დაზოგილმა თანხამ შეადგინა დაახლოებით 450 000 ლარი.

10. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობებისა და მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით, მერმა, ადმინისტრაციულ ერთეულებში, 200-ზე მეტი შეხვედრა გამართა. შეხვედრებს დაესწრო 5 500-მდე ადამიანი. მუნიციპალიტეტის მერმა 2023 წელს, 1250 მოქალაქე მიიღო.

11. მოქალაქეთა პრობლემებზე მერის მიერ რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი საკითხები)

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციული სამსახურის მიერ, საანგარიშო პერიოდში, მერიაში, საქმის წარმოების მიზნით, ელექტრონული/მატერიალური ფორმით, 26 290 მიმართვა/წერილი/განცხადება დარეგისტრირდა. აქედან:

- ადმინისტრაციულ სამსახურს დაეწერა 3555 წერილი/განცხადება/მიმართვა, რომელიც შინაარსისა და რელევანტურობის შესაბამისამისად შესრულებული ან/და გადამისამართებულ იქნა შესაბაბამის სამსახურში.
- სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურს საანგარიშო პერიოდში სულ დაეწერა 4450 მიმართვა/განცხადება/მოხსენებითი ბარათი/ შიდა წერილი, რომელთაგანაც 90% შესრულდა ან/და გადამისამართდა სხვა სამსახურში რეაგირებისათვის, ხოლო დანარჩენი მიმდინარე წარმოებაშია.
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურს სულ დაეწერა 5817 განცხადება, აქედან დაკმაყოფილდა 5765, განხილვის პროცესშია 38, ხოლო არასრული დოკუმენტაციის გამო 14 მოქალაქეს უარი ეთქვა.
- საფინანსო სამსახურს შესასრულებლად დაეწერა 1301 მიმართვა/განცხადება /წერილი, აქედან შესრულებულია ყველა.

- ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურს სულ დაეწერა 10596 განცხადება და კორესპონდენცია, აქედან პასუხი გაეცა 10268, ხოლო განხილვის პროცესშია 328.

- ეკონომიკის სამსახურს საანგარიშო პერიოდში დაეწერა 244 განცხადება, სამსახურიდან გასულია 369, ხოლო შუალედური 12.

- სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს დაეწერა 202 წერილი.

- 2023 წლიდან დღემდე შიდა აუდიტის სამსახურს დაეწერა 27 წერილი, გასულია 3 წერილი.

- საანგარიშო პერიოდში განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურს დაეწერა 98 წერილი.

2023 წლის განმავლობაში საფოსტო საკურიერო მომსახურებაზე გამოყოფილ იქნა 3000 ლარი, საფელდეგერო სამსახურზე 200 ლარი, არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის (წარმომადგენელი ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო) - ლაგოდეხის ადგილობრივ წარმომადგენელს შორის, დაიდო ხელშეკრულება, დაარქივდა 2015-2018 წწ. მასალები, მომსახურების ღირებულებამ 4400.20 ლარი შეადგინა.

პარალელურად, განყოფილება საინფორმაციო დახმარებასა და კონსულტირებას უწევდა მოქალაქეებს მერიაში არსებულ სერვისებთან და მიმდიანრე პროგრამებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, განყოფილებამ, მერიაში არსებულ სერვისებთან და მიმდინარე პროგრამებთან დაკავშირებით, მოქალაქეებს საინფორმაციო დახმარება და კონსულტაცია გაუწია; ასევე, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან მჭიდრო კომუნიკაციის მიზნით, სხვადასხვა კონსულტაციისა და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა-ორგანიზება განახორციელა.

გამჭვირვალობისა და მედიასთან კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით, თანამშრომლობა მიმდინარეობდა, როგორც ადგილობრივ, ასევე, ცენტრალურ მედია საშუალებებთან და საინფორმაციო სააგენტოებთან. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული პროექტებისა და პროგრამების შესახებ, საზოგადოებრივი ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, მზადდებოდა და სოციალურ ქსელში სხვადასხვა სააგენტოებისა და მედია საშუალებებით, ქვეყნდებოდა ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე, როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე, სოციალურ-ეკონომიკურ პროექტების შესახებ. ეტაპობრივად მზადდებოდა/მუშავდებოდა მერიის სამსახურების და ა(ა)იპ-ის ანგარიშები, შესრულებული სამუშაოების შესახებ. მომზადდა სხვადასხვა სახის ფლაიერი და ვიდეო რგოლი.

II. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ ბიუჯეტი შეადგენს - 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარს, 9 თვის განმავლობაში შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა - 2 021 422 (ორი მილიონ ოცდაერთი ათას ოთხასოცდაორი) ლარი. საკვებ პროდუქტებზე - 378516 (სამას სამოცდათვრამეტი ათას ხუთას თექვსმეტი) ლარი, ხოლო კომუნალურ და საოფისე ხარჯებზე 493 297 (ოთხას ოთხმოცდაცამეტი ათას ორას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი.

მიმდინარე წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო დაწესებულებებში დარეგისტრირდა 1338 ბავშვი.

საბავშვო ბაღებისთვის შეძენ იქნა, საკანცელარიო ნივთები, რომელთა გადაცემა საბავშვო ბაღებისთვის საჭიროებისამებრ, ეტაპობრივად მიმდინარეობს.

სოფელ ჭიაურისა და ჭაბუკიანის საბავშვო ბაღებში მშენებლობა მიმდინარეობს. სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის გახსნა დაგეგმილია ნოემბრის თვეში.

ახალი ბაღების მშენებლობაა დაგეგმილი სოფელ მსხალგორში, ჩადუნიანში, გვიმრიანში, ბაღდადსა და განჯალაში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული ბაღების დემონტაჟი. ახალი ბაღები აშენდება, ასევე, სოფელ არეშფერანსა და განჯალაში.

საანგარიშო პერიოდში, გაერთიანების მიერ გამოცხადდა ტენდერი საკვებ პროდუქტების უზრუნველყოფაზე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ში შემავალ საბავშვო ბაღებში მიმდინარეობდა თვითშეფასების ეტაპი, რაც ავტორიზაციის პროცესისთვის აუცილებელი პირობაა.

საანგარიშო პერიოდში, საბავშო ბაღებში გეგმიური გამოსაშვები ღონისძიებები გაიმართა. სასკოლო ასაკის აღსაზრდელებს გადაეცა საჩუქრები.

საბავშვო ბაღების სხვადასხვა რანგის თანამშრომლებს, ჩაუტარდათ ტრენინგი.

მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა

და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა საგანმანათლებლო მიმართულებით განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- ლაგოდეხში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აბიტურიენტებთან საინფორმაციო და გასართობი შეხვედრა, ახალგაზრდებისათვის მომღერალ „თამადას“ კონცერტი გაიმართა.
- დასაქმების და უმაღლესი განათლების მიღმა მყოფ ახალგაზრდებთან, სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრა;
- ,,მასწავლებლის საერთაშორისო დღე'', მუნიციპალიტეტის „წლის მასწავლებლის“ დაჯილდოვების ცერემონია.

მუნიციპალიტეტის მერიისა და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით ჩატარებული ღონისძიებები:

- ტრეინინგი თემაზე პერსონალური მონაცემების დაცვა“. შეხვედრას წარუძღვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელი: მარიამ გაიპარაშვილი და თენგიზ მამულია.

- ხატვის შემოქმედებითი მასტერკლასი თემაზე ,,ადამიანის უფლებები და თანასწორობა". მასტერკლასს გაუძღვება მხატვარი - გიორგი გამეზარდაშვილი ხატვის შემოქმედებით მასტერკლასში ხატვით დაინტერესებული 78 ახალგაზრდა მონაწილეობდა.
- საინფორმაციო სემინარი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე“. შეხვედრაზე, ახალგაზრდებმა, მიიღეს ინფორმაცია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებსა და პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობაზე, დარღვევების იდენტიფიცირებას და საკუთარი თუ სხვისი უფლებების დაცვის შესახებ. შეხვედრას წარუძღვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ლია კობალაძე.
- ახალგაზრდული ფესტივალი აღინიშნა.
    - შემეცნებითი/გასართობი აქტივობა - „ევროპის გზა“;
    - შემეცნებითი/გასართობი აქტივობა - „დიდი თამაში“;
    - მასტერკლასი მობილურ ფოტოგრაფიაში
    - საგანმანათლებლო სემინარი - „საუბრები უფლებებსა და თავისუფლებებზე“.
    - ლაგოდეხის დრამატულმა და თოჯინების თეატრის პრემიერა, განახლებული თოჯინებით, „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“;
    - ლაგოდეხისა და თემი „ქედელის“ გუნდების ამხანაგური შეჯიბრი, პარასპორტულ სახეობა ბოჩაში. ახალგაზრდული ფესტივალი „ადამიანი & პლანეტის“ ფარგლებში გაიმართა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მხცხოვრებმა 200-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- ,,ფეინთბოლის ჩემპიონატი 2023''. მონაწილეობა მიიღო 85-მა ახალგაზრდამ; გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ფეინთბოლის ჩემპიონატზე.
- 1 (ერთი) დღიანი ლაშქრობა - ,,ჯომარდობა არაგვზე''. მონაწილეობა მიიღო 60-მა ახალგაზრდამ;
- ექსკურსია წალკის კანიონზე, მონაწილეობა მიიღო 60-მა ახალგაზრდამ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯილდოს მინიჭების პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, მერის მიერ დაჯილდოებული იქნა, მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენები :

- დავით ბაქრაძე, II საპრიზო ადგილი, საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატი კრივში;
- მარიამ ბახტურიძე, I ადგილი, საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატი კრივში;
- ირაკლი დეკანოიძე, III ადგილი (54 კგ) ,,საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატი მოსწავლე მოკრივეთა შორის";
- მარიამ ძამანაშვილი, ჩემპიონი ,,2023 წლის ჩემპიონატი მოსწავლე მოკრივეთა შორის'', მწვრთნელი ალიკა ბირუქაშვილი;
- სანდრო სიუკაშვილი, III ადგილი (81 კგ.), ,,2006-2008 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის" მწვრთნელი თემურ ღვალაძე;
- მარიამ ძამანაშვილი, I ადგილი (54 კგ.) ,,საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატი მოსწავლე მოკრივეთა შორის'' მწვრთნელი ალიკა ბირუქაშვილი;
- ირაკლი დეკანოიძე, III ადგილი (54 კგ.) ,,საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატი მოსწავლე მოკრივეთა შორის'', მწვრთნელი ალიკა ბირუქაშვილი;
- ლევან შაინიძე, I ადგილი (57 კგ.) ,,საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატი შერეულ საბრძოლო ხელოვნებაში'' 23 წლამდე ახალგაზრდბს შორის, მწვრთნელი ალიკა ბირუქაშვილი;
- შოთა ჯაფიაშვილი, II ადგილი (57კგ.), ,,საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატი შერეულ საბრძოლო ხელოვნებაში'';
- სოფია ლიმარი, II ადგილი, ,,2023 წლის ევროპის სასკოლო ჩემპიონატი";
- იმედა გოგოლაძე, I ადგილი, ,,საქართველოს სტუდენტური ფესტივალი 2023 წლის'' ჩემპიონატი სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში, მწვრთნელი ჯიმშერ მუმლაძე;
- შოთა ჯაფიაშვილი, I ადგილი (65კგ.), შერეული საბრძოლო ჩემპიონატი ,,ახალგაზრდა მებრძოლები 3'' ,სპორცმენამა 23 წლამდე ახალგაზრდბს შორის;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის (ა(ა)იპი „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი"-ს, „ლაგოდეხის

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისა“ და „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“) ანგარიში.

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი ბიუჯეტი განისაზღვრა 1,225,000 ლარით. აქედან, კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა 302,950, სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა 80.000 ლარი, ახალგაზრდების მხარდაჭერა 38 000 ლარი, ხოლო ოფისი 804,050 ლარით განისაზღვრა. ღონისძიებების გეგმა შეადგენს 185,560 ლარს, რომელიც გათვალისწინებულია წლის მანძილზე 98 დაგეგმილი ღონისძიება/აქტივობების ორგანიზებისთვის.

აქედან,

- კულტურის მიმართულებით - 47 ღონისძიებისთვის (კულტურა 26, მუზეუმი 7, თეატრი 8 სპექტაკლი, ბიბლიოთეკა 6 ღონისძიება) - 100,080 ლარი განისაზღვრა;
- სპორტის მიმართულებით 26 ღონისძიებისთვის - 11,500 ლარი განისაზღვრა; (საანგარიშ პერიოდში განხორციელდა 18 ღონისძიება)
- ახალგაზრდობა/მოსწ. ახალგაზრდობა 21 ღონისძიებისთვის - 28,300 ლარი განისაზღვრა; (საანგარიშ პერიოდში განხორციელდა 7 ღონისძიება)

კულტურა

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ ორგანიზებული/განხორციელებული იქნა შემდეგი პროექტები/ღონისძიებები:

- საქართველოს ,,სახელმწიფო დროშის დღე'';
- დედის დღესთან დაკავშირებით, ღონისძიება სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დედებისათვის. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა, ქალბატონებს გადაეცათ ყვავილები;
- სამსახურის ცენტრის მიერ განხორციელდა საგანმანათლებლო, შემეცნებითი ლექცია-სემინარი, რომელიც მწერალმა, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ გამართა. ღონისძიება, ახალგაზრდული საბჭოების ჩართულობით განხორციელდა და მასში ასზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა;
- „დაუნის სინდრომის მქონე“ ბავშვების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა აქტივობები;
- სოფელ გიორგეთში, პასკის ფესტივალი, ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო პასკის კონსურსი, ღვინო და ქართული ტრადიციული კერძები, ხელნაკეთი ნივთების

გამოფენა , ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მიერ შესრულებული კონცერტი და საბავშვო გასართობ აქტივობები. ფესტივალზე გამოვლენილი „ყველაზე გემრიელი და ორიგინალური პასკის" კონდიტერი, საპატიო სიგელით და საჩუქრებით დაჯილდოვდა.

- საქართველოს "დამოუკიდებლობის დღე", ქალაქის შემოსასველი და ცენტრის მიმდებარე ტერიტორია ეროვნული მოტივებით შექმნილი დეკორაციებით და სახელმწიფო დროშებით მოირთო;
- ფოლკლორული საღამო „შემოვინახოთ ერის საუნჯე, სიტყვა ქართული, სიტყვა ხალხური", ღონისძიება ქართული ენის დღეს მიეძღვნა და მასში, მუნიციპალიტეტში მოქმედმა სხვადასხვა ქორეოგრაფიულ და ფოლკლორულმა ანსამბლებმა მიიღეს მონაწილეობა.
- სოფლის ტრადიციული სახალხო დღესასწაული „თელაობა", წელს სოფელი „თელა 116 წლის" გახდა. გაიმართა კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილებით, ასევე ჩატარდა შეჯიბრი მინი ფეხბურთში;
- 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღინიშნა.მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 78 წელი გავიდა, ამ დღესთან დაკავშირებით მემორიალი გვირგვინით შეიმკო;
- „ეროვნული სამოსის დღე", ღონისძიებაზე მოეწყო ეროვნული სამოსის ფოტო გამოფენა და ახალგაზრდების მიერ ეროვნული სამოსის ჩვენება, გაიმართა კულტურული ღონისძიება ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით;
- სოფ. ლელიანის კულტურის სახლში ჯგუფი "ქართველის" სოლო კონცერტი;
- „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო" დღე, მოეწყო ანიმატორების შოუ, ოჩოს შოუ, რობოტების შოუ, სახეზე ხატვა, ადგილზე ხატვა, ანიმაციური გმირების წარმოდგენა;
- პროექტი "ლაგოდეხის ცის ქვეშ" ფარგლებში, პროექტის ფარგლებში მოეწყო, საბავშვო გასართობი შოუ, ანიმაციური გმირები წარმოდგენა, Dj.ALEX SET. ზაფხულის გასართობი საღამოები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 12 ადმინისტრაციულ სოფელში ჩატარდა.
- პროექტი „საზაფხულო სკოლა"-ს ფარგლებში 100-მა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. 4 დღის განმავლობაში ბავშვებმა განივითარეს კომუნიკაციური ინდივიდუალურ-ჯგუფური უნარები, შეიძინეს მეგობრები. პროექტის ფარგლებში ქ. თელავში, ბავშვთა გასართობ ცენტრში ექსკურსია მოეწყო.
- „ნაყინის ფესტივალი", ფესტივალის ფარგლებში, წარმოდგენილი იყო, კონკურსები, ზღაპრის გმირების და ანიმატორების გასართობი პროგრამები, დიდი საპნის ბუშტების და ილუზიონისტების შოუ, ატრაქციონები. ჯგუფი Mix2ra • მიქსტურა-ს კონცერტი გაიმართა;
- სოფელ მაწიმში, სოფლის დღესასწაული „ძელიცხოვლობა", სხვადასხვა საბავშვო გასართობი და სპორტული აქტივობებით;
- სოფელ ვარდისუბანში სოფლის დღესასწაული, ღვთისმშობლის მიძინების დღე „მარიამობა", სხვადასხვა საბავშვო გასართობი და სპორტული აქტივობებით;

- სოფელ თამარიანში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი „გია დუღაშვილის“ ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გაიმართა სპორტული შეჯიბრებები მინი-ფეხბურთსა და მკლავჭიდში, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით კონცერტი;
- ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ჰერეთობა-2023“, საზეიმო ღონისძიებები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ დღის აღსანიშნავად, ტყე-პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა, კულტურულ-შემეცნებითი და გასართობი აქტივობები გაიმართა. ღონისძიებაზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების, საჯარო სკოლების წარმომადგენლებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელების მიერ წარმოდგენილი იყო თეატრალიზებული საშემოდგომო კუთხეები; ადგილობრივ მეწარმეთა მიერ მოეწყო ღვინისა და არყის მომზადება/დეგუსტაცია; ქართული ტრადიციული კერძების დაგემოვნება. გაიმართა კონცერტი ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლების მონაწილეობით და გალა კონცერტი, დუეტი „ლეონის“, ჯგუფი „ქუჩის ბიჭებისა“და ბარბარე სამხარაძის მონაწილეობით;
- „აფენობა 2023“, კულტურულ-სპორტული და გასართობი აქტივობები მიმდინარეობდა: საჯარო სკოლების წარმომადგენლებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელების მიერ, წარმოდგენილი თეატრალიზებული საშემოდგომო კუთხეები. მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის საფეხბურთო მატჩი და ჭიდაობა გაიმართა. ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლებისა და ჯგუფი ,,რეზო და ბავშვები"-ს მონაწილეობით კონცერტით დასრულდა.

საანგარიშო პერიოდში, მოეწყო ფოლკლორული საღამო ,,შემოვინახოთ ერის საუნჯე, სიტყვა ქართული, სიტყვა ხალხური". ასევე, სოფელ ლელიანის კულტურის სახლში ჯგუფი “ქართველის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

სამსახურის ცენტრის მიერ განხორციელდა საგანმანათლებლო, შემეცნებითი ლექცია-სემინარი, რომელიც მწერალმა, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ გამართა. ღონისძიება, ახალგაზრდული საბჭოების ჩართულობით განხორციელდა და მასში ასზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

მუზეუმი

ქ.ლაგოდეხში საანგარიშო პერიოდში საზეიმოდ გაიხსნა ახლად რეაბილიტირებული ისტორიული „მუზეუმი“ , რომელიც ევროკავშირისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსდა. რეაბილიტაციის ფარგლებში განახლდა შენობის ინტერიერი და ღობე. მოწესრიგდა მუზეუმის ეზო, მოეწყო ღია სამკითხველო სივრცეები და ადაპტირებული ღია სცენა. წლობით ყუთებში ჩაწყობილი არტეფაქტები გამოიფინა და განლაგდა თაროებზე მოწყობილ ფონდსაცავებში.

ცენტრის მიერ გაიმართა „ეროვნული სამოსის დღე“, სადაც მოეწყო ეროვნული სამოსის ფოტოგამოფენა და ახალგაზრდების მიერ ეროვნული სამოსის ჩვენება. საანგარიშო პერიოდში, ცენტრის მიერ სოფელ ჭიაურში აღმოჩენილ იქნა ეკლესია, რომელიც გადაეცა ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ბიბლიოთეკა

საანგარიშო პერიოდში, სოფელ ვარდისუბნის სასოფლო ბიბლიოთეკაში, ხმამაღალი კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა, სადაც აქტიურმა მკითხველებმა შემდეგი ნაწარმოებები წაიკითხეს და დისკუსია გამართეს: ვაჟა-შაველას - “ხმელი წიფელი“ და “ია; გოდერძი ჩოხელის - “მართა“; რევაზ ინანიშვილის - “ფიროსმანი“.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, გამომცემლობა „წიგნი+ერმა“ უმასპინძლა. "გამომცემლობა "წიგნი+ერი" და თანამედროვე მწერლები რეგიონებში" ფარგლებში, გამომცემლობის წარმომადგენლებმა ისაუბრეს თავიანთ საავტორო წიგნებზე და მათ ნამუშევრებზე, ასევე მოეწყო წიგნების გამოფენა/გაყიდვა.

თეატრი

საანგარიშო პერიოდში, ლაგოდეხის თოჯინების თეატრმა, მუნიციპალიტეტის 15 თემის საბავშვო ბაღებში და საჯარო სკოლებში, გასვლითი სპექტაკლების ჩვენება გამართა, სადაც წარმოდგენილი იქნა, მ. მახათაძის (თანამედროვე ვარიანტი) პიესა „წითელქუდა“; ფერნანდო არაბალის ტრაგიკომედიით „პიკნიკი“; (რეჟისორი - რაჟდენ კერვალიშვილი)

საანგარიშო პერიოდში, ლაგოდეხის დრამატული და თოჯინების თეატრის თოჯინები განახლდა. განახლებული თოჯინებით პრემიერა „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ გაიმართა. პრემიერა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის და საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ხელშეწყობით ჩატარდა.

სპორტი

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტში ჩატარდა, ევროპისა და მსოფლიო პრიზიორის ვახტანგ (ვატა) შიხაშვილის, რიგით მე-19 ტურნირი მკლავჭიდში, ასევე, თემებში სხვადასხვა ტიპის შეჯიბრებები უბნებს შორის ფრენბურთსა და მინი-ფეხბურთში; სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის ჩემპიონატი გაიმართა ფეხბურთსა და ფრენბურთში.

საანგარიშო პერიოდში, ცენტრის მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 9 აპრილს, სოფელ კართუბანში, მამუკა ნოზაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები: ფეხბურთში, ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში;
- სოფელ აფენში „არჩილ კაციტაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში“;

- სოფელ ცოდნისკარში, „დავით ტუხაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში“;
- სოფელ გიორგეთში ჯიმშერ მაისურაძის სხოვნისადმი მიძღნილი ღონისძიება - „ჯიმშერობა“. სპორტული აქტივობები, მინი ფეხბურთსა და ქართულ ჭიდაობაში.
- სოფელ ჭიაურში, გია დუღაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში;
- სოფელ აფენში (აფენობა 2023), კახეთის გუნდური ჭიდაობა;
- სოფელ ჭაბუკიანში, გიორგი მუმლაძის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში;
- სოფელ მსხალგორში აფხაზეთის ომში დაღუპული „გელა გელაშვილი“-ს სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში;
- სოფელ ნინიგორში, „შმაგი ნოზაძის“ სახელობის ტურნირი მინი -ფეხბურთში;
- სოფელ ბაისუბანში, აფხაზეთის ომში დაღუპული „გიორგი მაჭარაშვილის“ ხსოვნის დღე.

ახალგაზრდობის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები

პროექტის - „კინო სკოლაში“ ფარგლებში, სოფელ ვარდისუბნისა და სოფელ შრომის საჯარო სკოლებში, მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების - "არა იპარო" და "ხარბი ძაღლის" ჩვენება მოეწყო.

ცენტრის მიერ გაიმართა ხატვის კონკურსი - „იღვიძებს ბუნება“ (3 ეტაპად), სადაც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის ნორჩმა 90-მა მხატვარმა.

საანგარიშო პერიოდში, სასკოლო ოლიმპიადის ფარგლებში შემდეგი კონკურსები გაიმართა:

- „სახალისო მათემატიკა";
- ლიტერატურული კონკურსი, „ნორჩი პოეტები და პროზაიკოსები“.
- „ქართული მარტო ენაა?! ქართული ქართველთ რწმენაა!“

ცენტრის მიერ მოეწყო, ასფალტზე ცარცით ხატვის კონკურსი. 100-მა ახალგაზრდა მოყვარულმა მხატვარმა, ტყე პარკის ტერიტორია ფერადი ცარცით მოხატა.

საანგარიშო პერიოდში, „ფერების ფესტივალი“ გრანდიოზულად აღინიშნა. მოეწყო ახალგაზრდული აქტივობები; წარმოდგენილი იქნა დიჯეი-შოუ პროგრამა; ასევე, გაიმართა მომღერალ „თამადას“ კონცერტი.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა სასწავლო-შემეცნებით და გასართობი აქტივობა. პროექტი „საზაფხულო სკოლა”-ს ფარგლებში, 100-მა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. 4 დღის განმავლობაში ბავშვებმა განივითარეს კომუნიკაციური ინდივიდუალურ-ჯგუფური უნარები, შეიძინეს მეგობრები. პროექტის ფარგლებში ქ. თელავში, ბავშვთა გასართობ ცენტრში ექსკურსია მოეწყო.

ა(ა)იპ „სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ მიერ გაგეგმილი მეთოდური და სასკოლო ღონისძიებები სრულყოფილად ჩატარდა.

გაერთიანების მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საკონცერტო საღამოები, რომელიც ყველა სამუსიკო სკოლაში გაიმართა.
- ქ. ლაგოდეხის სამუსიკო სკოლის დარბაზში, სამუსიკო სკოლის პედაგოგების მონაწილეობით ჩატარდა, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. სადაც შესრულდა ქართველ კომპოზიტორთა, სადაც მოეწყო სამუსიკო მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „გაიღვიძა ბუნებამ“.
- ქ. ლაგოდეხის სახელოვნებო სკოლის დარბაზში ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ყოველწლიური (ტრადიციული) ღონისძიება „მუდამ გვემღერებოდეს“ სადაც მონაწილეობა მიიღო გაერთიანების ყველა სამუსიკო სკოლის გუნდმა, ასევე მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.
-
- სოფელ აფენის, ლელიანისა და ვარდისუბნის სამუსიკო სკოლებში მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა ღია კონცერტები.
- ქ. თელავში ჩატარდა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VII ეროვნული კონკურსი, სადაც მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის გაერთიანებულმა გუნდებმა და დაიმსახურეს შემდეგი ადგილები: ქ. ლაგოდეხის, სოფ. ლელიანის და ვარდისუბნის სამუსიკო სკოლებმა II, ადგილი ხოლო აფენის სამუსიკო სკოლამ III ადგილი.
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. მირზაანში ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის ეზოში გაიმართა ყოველწლიური ფესტივალი „ეზიარე ფიროსმანს“, სადაც მონაწილეობა მიიღო სამხატვრო სკოლის 12-მა მოსწaვლემ. ფესტივალზე შესრულებული ნამუშევრები გამოფენილ იქნა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მუნიციპალურ ღონისძიებაზე, ხოლო შემდეგ კი ქ. ლაგოდეხის სახელოვნებო სკოლის საგამოფენო სივრცეში.
- ჩატარდა კომპოზიტორ მ. მერაბიშვილის ნაწარმოებების საავტორო კონცერტი ქ. ლაგოდეხის სამუსიკო სკოლის მოსწავლეების შესრულებით.
- ქ. ლაგოდეხის სამუსიკო სკოლის პედაგოგები, ყველა სამუსიკო სკოლაში წარსდგნენ ანგარიშით და ჩაატარეს, პედაგოგთა კლასის, ღია და დახურული კონცერტი. ღონისძიებზე მონაწილეობა მიიღო ახლად შექმნილმა ბიჭუნათა ანსამბლმა.
- სოფ. ლელიანსა და სოფ. ვარდისუბანში გაიმართა კონკურსი ეტიუდებში. I-II-II-ადგილზე გასულ მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები.
- ქ.ლაგოდეხის სახელოვნებო სკოლაში ჩატარდა I-II-III-IV კლასის მოსწავლეთა შიდა სასკოლო კონკურსი „მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა გამოცნობა“. მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები.
- გაიმართა ღია აკადემიური კონცერტი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობთ.

2023 – 2024 სასწავლო წლისათვის სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში სექტემბერში ჩაირიცხა 70 მოსწავლე პირველსა და მაღალ კლასში.

- ქ. ლაგოდეხის სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლა - 16 მოსწავლე;
- სოფ. აფენის სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლა - 8 მოსწავლე;
- სოფ. ლელიანის სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლა - 9 მოსწავლე;
- სოფ. ვარდისუბნის სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლა - 12 მოსწავლე;
- ქ. ლაგოდეხის სახელოვნებო (სამხატვრო) სკოლა - 25 მოსწავლე.

ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური“

ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურს“ მუნიციპალური პროგრამის შესრულების მიზნით, მერიის მიერ დამტკიცებულია 9 თვის დაფინანსების გეგმა 135 381,0 ლარის ოდენობით. სამსახურის თითოეული პროგრამა, მიმართულია მუნი-ციპალიტეტის მოსახლეობაში გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენციის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და ამ გზით დაავადებათა გავრცე-ლების შემცირებისაკენ.
საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

- მსოფლიოში პანდემიად გამოცხადებული კოვიდ-19-ის ვირუსული ინფექციის გავრცელების წინააღმდეგ მიმდინარეობს რეგულარული მონიტორინგი, საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 7 946 ტესტი. დადებითი აღმოჩნდა 597 პირი, დადებითობის მაჩვენებელი-7,5%, გარდაიცვალა-2 ავადმყოფი რისკ-ჯგუფებიდან დაგვიანებული ჰოსპიტალიზაციის გამო, მაჩ-ვენებელი - 0.33. ამჟამად მუნიციპალიტეტში ცირკულირებს კოვიდ-19-ის "ომიკრონის"ტიპის ვირუსის რამოდენიმე მუტაციური შტამი.
- გრიპისა და მწვავე რესპირატო-რული დაავადებების ხვედრითი წილი 7%-ია,ხოლო
- სამსახური აწარმოებს ვაქცინებით მომარაგებას, მათ შენახვა/გაცემას ცენტრალიზებულად, შეფერხების გარეშე. „ცივი ჯაჭვის“ სისტემა მუშაობს გამართულად;
- გამოკვლეულია ,,B'' , ,,C'' ჰეპატიტზე, შიდსზე და სიფილისზე 233 ორსული. გამოვლენილი იქნა ჰეპატიტ ,,B'' – 8 შემთხვევა. ,,C '' ჰეპატიტზე გამოკვლეულ იქნა 4568 სტაციონალური და ამბულატორიული ავადმყოფი. გამოვლინდა ,, C '' ჰეპატიტის 106 შემთხვევა;
- რეგისტრირებულია ტუბერკულიოზის 8 შემთხვევა.ყველა შემთხვევაზე ჩატარებულია ეპიდ.კვლევა, გამოკვლეული იქნა 22 კონტაქტი;
- რეგისტრირებული 8 ტუბ.შემთხვევა;
- რეგისტრირებულია ბრუცელოზის 4 შემთხვევა.
- ლეპტოსპიროზის 12 და ლაიმის დაავადების (ბორელიოზი) 7 შემთხვევა დადასტურდა. ყველა მათგანზე ჩატარებულია ეპიდ.კვლევა;
- დადასტურდა Q ცხელების 1 შემთხვევა;
- საანგარიშ პერიოდში, სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეისა და წითელას შემთხვევები არ დაფიქსირებულა;

- დარეგისტრირდა გრიპის – 398 და მწვავე რესპირატორული დაავადების 2562 შემთხვევა;
- დაფიქსირდა ჩუტყვავილას 26 შემთხვევა (2022 წ. იყო -1), ქუნთრუშას 13, სიფილისის 5 შემთხვევა;
- 2023 წელს დაკბენილია 403 ადამიანი, ვაქცინაცია ჩაუტარდა 403, მათ შორის სრული კურსი - 85, არასრული - 318;
- გაიხარჯა 1 110 დოზა ანტირაბიული ვაქცინა და 441 დოზა ანტირაბიული იმუნოგლობულინი;
- ცხოველში ცოფის შემთხვევა არ დადასტურდა;
- მალარიის კონტროლისა და პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამით მალარიაზე გამოკვლეული იქნა 107 სისხლის სქელი წვეთი და ნაცხი;
- ჰელმინთებზე ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნა 905 ბავშვი, ინვაზირებულია 34;
- შესაბამისი პრეპარატებით დამუშავებულია საცხოვრებელი ბინები და ცხოველთა სადგომები. სულ-120.000 კვ.მ.

საანგარიშო პერიოდში შემოწმებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება და საჯარო სკოლა. გამოვლენილი ხარვეზების შესახებ მიეთითათ, შედგენილია შესაბამისი აქტები, მიეცათ ვადები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. აგრეთვე სასწავლო ტრენინგი ჩაუტარდათ სილამაზის სალონების 32 თანამშრომელს. დამატებით შემოწმებული იქნა 10 სალონი, გამოვლენილი იქნა დარღვევები, მიეცათ კანონით გათვალისწინებული კონკრეტული ვადები მათ გამოსასწორებლად. შემოწმებულ ობიექტებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები არ შედგენილა.

ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრი“

საანგარიშო პერიოდში, ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრი“, ყოველდღიურად შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, აწარმოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო და მყარი ნარჩენის გატანას, იგვება და სუფთავედება ქალაქის ქუჩები და სკვერები. სისტემატურად მიმდინარეობს სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ითიბება და იწამლება ბალახი, ბალახ საწინააღმდეგო ჰერბიციდებით, იწმინდება ეკალ-ბარდისგან და სუფთავდება საყოფაცხოვრებო ნარჩენისგან. სკვერებსა და პარკებში დაირგო ცოცხალი ყვავილები, შეთეთრდა ხეები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად სუფთავდება მაგისტრალების გზების გვერდულები; სკვერებსა და პარკებში ირგვება ცოცხალი მცენარეები;

საანგარიშო პერიოდში დაზიანებული ხეების ჭრა ვარჯის ფორმირებებისათვის - ჩატარდა 57 სამუშაო. ჭაბუკიანი გურჯაანის დამაკავშირებელ გზაზე დაირგო 400 ძირი ოქროსფერი ტუია (აღნიშნული ტერიტორიები წინასწარ გაიწმინდა ეკალ ბარდისგან და მოსწორდა გზის ორივე მხარე 7 კმ,), ქალაქის ტერიტორიაზე გაზონებზე დაირგო 234 ძირი სხვადასხვა სახის მცენარე (სუმბულა, აზალია, სუსანა, გლადიოლოსი, ტრიდერი)

ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრის“ მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- მუნიციპალიტეტის თხუთმეტივე თემში, მოძველებული გარე განათების სისტემა, ახალი, ლედ ტიპის სანათებით შეიცვალა. ორგანიზაციის მიერ შესყიდული იქნა 300 ცალი 50 ვატიანი ლედ ტიპის სანათი, რითაც განხორციელდა ეტაპობრივად ჩანაცვლებები. გაიჭიმა ახალი 3 017 მეტრი სიპი (კაბელი).
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეტაპობრივად მიმდინარეობს ახალი ნაგვის ურნების დადგმა, ასევე, ხორციელდება დაზიანებული ურნების ახლით ჩანაცვლება, განლაგებულია 65 ერთეული ბადიანი სეპარაციისთვის განკუთვნილი და 1 119 ერთეული, 1 100 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი.
- მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა არსებული წყლის სისტემის მოვლა-პატრონობა, დაზიანებული მილების შეცვლა, მაგისტრალების შეკეთება-მოწყობა. წყლის სათავე ნაგებობებზე სისტემატიურად მიმდინარეობს როგორც გაწმენდითი, ასევე, აღდგენითი სამუშაოები. ეტაპობრივად და საჭიროების მიხედვით მაგისტრალების დარეგულირება, შემოვლა/შემოწმებები. ჩატარდა დაზიანებული მაგისტრალის აღდგენის - 30 სამუშაო.
- სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, გაიჭრა სანიაღვრე არხები (31 სამუშაო). არსებული არხები გაიწმინდა ეკალ-ბარდისა და ნაშალისგან.
- ხორციელდება შიდა საოფლო გზების მოსწორება, დეფექტური აქტების საფუძველზე ჩატარებულია 15 სამუშაო.
- საანგარიშო პერიოდში, ლიკვიდირებულია 2 სტიქიური ნაგავსაყრელი. (სოფ. შრომა, გიორგეთი)
- ნაპირსამაგრი და გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა - მდინარე ბაისუბნის, კაბალისა და შრომის ხევზე.
- სააგნარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტში მომხდარი ორი სტიქიის შედეგად შესრულდა შემდეგი სამუშაოები: სოფელ გურგენიანში და ხიზაში, დატბორილი სანიაღვრე არხების გაწმენდა; ქ.ლაგოდეხი - რუსთაველის, აღმაშენებლისა და თავისუფლების ქუჩაზე, სოფ თამარიანში, წითელი გორში, არეშფერანში, საქობოსა და ჰერეთისკარში განხორციელდა გაწმენდითი სამუშაოები; მოტეხილის ხეების მოჭრა/დასაწყობება. 60 კუბური მეტრი საშეშე მასალა დასაწყობდა, რომლის გაცემაც მოხდება ეტაპობრივად საჭიროებისამებრ.
- 2022 წლიდან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან შრომის უნარიანი წევრების დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 464 ბენეფიციარი
- შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს გადმოსცა ოთხი ერთეული IVECO ს ტიპის ნაგავმზიდი და ერთი ერთეული პიკაპი ბორტიანი.
- მუნიციპალიტეტის მერიისა და ლაგოდეხის სერვის ცენტრის მიერ, ნარჩენების მართვის სფეროში განხორციელებული წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, წელს, ლაგოდეხი ქვეყნის მასშტაბით, ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტად დასახელდა.

- მუნიციპალიტეტს სხვადასხვა გრანტის ფარგლებში შეძენილია ნაგავმზიდი, სეპარაციისთვის განკუთვნილი 65 ბადიანი ურნები, რომლებიც განლაგდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე, საწნეხი დანადგარი.

საანგარიშო პერიოდში, ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრი"-ს მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის, დაიხარჯა ჯამში 1 156 899.17 ლარი. აქედან,

- სასმელი წყლის ექსპლუატაცია - 70494.06 ლარი;
- გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია - 215430.39 ლარი;
- დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 755931.86 ლარი;
- მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა - 115142.86 ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი /ჯონდო მდივნიშვილი /